გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მარშალ გელოვანის გამზ.N34
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 237 80 13
+995 32 237 80 44
info@mepa.gov.ge

11 აპრილი 2025

N 2637/01

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

თქვენი წერილის (#6/16674 28.03.2025) პასუხად, რომელიც ეხება ქალაქ ფოთში, რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარე 11030.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N 04.01.19.016) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხს. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფართობი საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წერილის (#21/3194 10.04.2025) თანახმად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე ორთოფოტოს მიხედვით მდებარეობს ხელოვნური ტბორი. ნაკვეთზე ან მის ნაწილზე შესაძლებელია ვრცელდებოდეს წყლის სახელმწიფო ფონდის მიწის მოთხოვნები, რომელშიც „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 19, 20) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ”წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2) თანახმად, მყარდება სპეციალური რეჟიმი წყლის რესურსების დაბინძურების, მოლამვისა და დაშრეტისაგან დასაცავად.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 და მე-8 მუხლების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და გამავალი მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, სხვა ბუნებრივი და ხელოვნური ზედაპირული წყალსატევები, აგრეთვე არხების და ტბორების წყლები და ჭაობები წარმოადგენენ საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდს, ხოლო ამ წყლის ობიექტებით, ჰიდროტექნიკური და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებით დაკავებული მიწები, აგრეთვე მიწები, რომლებიც გამოყოფილია წყლის ობიექტის წყალდაცვით ზოლად, სანიტარიული დაცვის ზონად და ა.შ. წარმოადგენენ წყლის სახელმწიფო ფონდის მიწას.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად წყლის სახელმწიფო ფონდის მიწა გამოიყენება იმ ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, რომლებიც

უზრუნველყოფენ სასმელი, საყოფაცხოვრებო, სამკურნალო, საკურორტო და წყალზე სხვა საჭირო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, თევზის მეურნეობის, ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და სხვა საჭიროებას. წყლის სახელმწიფო ფონდის მიწით სარგებლობის წესი განისაზღვრება "წყლის შესახებ" საქართველოს კანონით და საქართველოს მიწის კანონმდებლობით.

ლაშა დოლიძე

მინისტრის მოადგილე

https://edocument.ge/mea/public/#/2637-01-2-202504111610